საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 09 სექტემბერი, 2015 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/01

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესში ცვლილებების შეტანის შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნას ცვლილება საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-3 მუხლში და დაემატოს შემდეგი პუნქტი:

2¹. სოციალური მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებზე 5-ზე ნაკლები აბიტურიენტის ჩარიცხვის შემთხვევაში ფაკულტეტის დეკანს, დეპარტამენტის ხელმძღვანელთან და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით შეუძლია შესთავაზოს სტუდენტებს, მობილობით გადავიდნენ სხვა, მათთვის სასურველ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2. შეტანილ იქნას ცვლილება საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-5 მუხლში და დაემატოს შემდეგი პუნქტები:

3¹. სოციალური მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამაზე 5-ზე ნაკლები სტუდენტის დარჩენის შემთხვევაში ფაკულტეტის დეკანს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება სასწავლო დისციპლინებში კრედიტების მინიმალური ოდენობის (1 კრედიტი არაუმეტეს 5 სააუდიტორიო საათი) განსაზღვრის, ან სოციალური მიმართულების საგანმანა-თლებლო პროგრამებზე აკადემიური პერსონალის ძირითადი დატვირთვის საათობრივი დატვირთვის ნაწილში გადატანის შესახებ.

15². სასწავლო დისციპლინაში მიმდინარე შეფასების კომპონენტს განსაზღვრავს სასწავლო კურსის პედაგოგი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ე. მესხია